სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31590102546023

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230379749

რეგისტრაციის თარიღი

24.03.2023 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ბოჭორიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი N9, პირველი სართული
ტელეფონი: 599 22 01 71; 591701147

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამი წლის ოცადაოთხ მარტს, მე, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი #9, პირველი სართული, მომმართა: ამირან გოგრიჭიანმა, როგორც შპს "ბელონა"-ს (ს/ნ 406334970) დირექტორი (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21070106, 13/07/2021 14:12:26). მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა ზაზა ბასილაძის სახელზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ამირან გოგრიჭიანმა (დაბ.30.06.1986წ. თბილისი, პ/#01011041702, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, გიორგი შარვაშიძის ქუჩა, N 36), მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდასამი წლის ოცადაოთხ მარტს, მე, ამირან გოგრიჭიანი (დაბ.30.06.1986წ. თბილისი, პ/#01011041702, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, გიორგი შარვაშიძის ქუჩა, N 36), როგორც შპს "ბელონა"-ს (ს/ნ 406334970) დირექტორი (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21070106, 13/07/2021 14:12:26) ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ ზაზა ბასილაძეს (დაბ.11.11.1982წ. ტყიბული, პ/#41001006464, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 4, ბინა 68) იყოს ჩემი, სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საკრებულოში (ლეგალიზების კომისიაში), გამგეობაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში", ყაზტრანსგაზსში, ახალ ქსელებში, თბილისი ენერჯიში, თელასში, სილქნეტში, ჩემი სახელი შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/ და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალების შესრულებასთან.

ამ მინდობილობით მინიჭებული ყველა უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

ეს მინდობილობა შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში აქვს დანართი შემდეგი დოკუმენტი:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: მომზადების თარიღი: B21070106, 13/07/2021 14:12:26.

მინდობილობა გაცემულია ორი თვის ვადით და ძალაშია 2023 წლის 24 მაისის ჩათვლით.

საკუთრების მიმნდობს წავუკითხე ეს მინდობილობა და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ წინამდებარე მინდობილობა დადებულია სხვა გარიგების დასაფარად, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

ეს მინდობილობა დამოწმებულია ჩემს, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი #9, I სართული. სანოტარო აქტი ხელმოწერილია ჩემი თანდასწრებით. მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა და პირადობა შემოწმებულია.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: 40,40 (ორმოცი ლარი და 40 თეთრი) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507) 31.7 –ე მუხლის შესაბამისად - 30.00 (ოცდაათი) ლარი, აგრეთვე დღგ: 5,40 (ხუთი ლარი და 40 თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის I ნაწილის "ა" პუნქტისა + 39.1 მუხლის შესაბამისად- 5.00

გვეცნო ამირან გოგრიჭიანი

ნოტარიუსი: /ქეთევან ბოჭორიშვილი/